

ს ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N1/110

ქ. თბილისი

27 ნოემბერი 2012 წელი

ერთის მხრივ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი პერტაიას სახით (შემდგომში შესყიდველი), და მეორეს მხრივ, შ.კ.ს. „ტოიოტა ცენტრი თბილისი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის, ირაკლი გურჩიანის სახით (შემდგომში მიწმდებელი), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „ს“ პრიმა ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. ხელშეკრულების საგანია ავტომობილების (სახ.N: VVU-951 და VVU-931) გეგმიური ტექნიკური მომსახურება, კერძოდ:
- ა) ძრავის ზეთები (CPV კოდი: 09211100) – 180 ლარი;
 - ბ) ზეთის, ჰარის და ბენზინის ფილტრები (CPV კოდი: 42913000) – 490 ლარი;
 - გ) მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (CPV კოდი: 50112000) - 150 ლარი, (შემდგომში – მომსახურება) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

- 2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, კანონით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, შეადგენს 820 (რვაას ოცი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

- 3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
- 3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის საფუძველზე, მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.
- 3.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ღირებულება მოცემული იქნება უცხოური ვალუტის ექვივალენტი ლარში, მხარეთა შეთანხმებით გაცვლითი კურსი გამოანგარიშებული იქნება მიღება-ჩაბარების გაფორმების თარიღისათვის მოქმედი საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად.

4. მიღება-ჩაბარების წესი

- 4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის საფუძველზე.
- 4.2. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5. მიწოდების ადგილი და პირობები

- 5.1. მიმწოდებელი მომსახურებას განახორციელებს ტოიოტა ცენტრის სერვისცენტრში.
- 5.2. მომსახურება გაწეულ უნდა იქნეს 2012 წლის 27 ნოემბრიდან 2012 წლის 5 დეკემბრის ჩათვლით.

6. მომახურების ხარისხი

- 6.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების ხარისხზე.
- 6.2. უხარისხმ (წუნდებული) მომსახურების გამოვლენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია დროულად უზრუნველყოს ხარვეზის გამოსწორება.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;
- 7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- ა) აუნაუზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში;
 - ბ) მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევისას ნაკლის ან/და დეფექტის გამოვლენიდან 5 დღეში წერილობით აცნობოს მას ამის თობაზე;

- 7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ପାତ୍ରବିଦ୍ୟାକ୍ଷେତ୍ର



ପ୍ରକାଶକ ନାମ: "ବ୍ୟାଙ୍ଗିନୀ ପ୍ରକାଶନ", ପ୍ରକାଶନ ବିଧି: ୦୨୩୫୪୨୦
ପ୍ରକାଶନ ତାରିଖ: ୨୦୨୦ ଜାନୁଆରୀ ୧୫, ପ୍ରକାଶନ ସଂଖ୍ୟା: ୦୨୩୫୪୨୦
ପ୍ରକାଶକ ଠିକ୍କାଦିରେ ଅବଶ୍ୟକ ଜାଣିବାର ପାଇଁ ଏହାର ପରିଚୟ ଓ ବ୍ୟାଙ୍ଗିନୀ
ପ୍ରକାଶନ କୋମିଶନର ଓହିଲାକ୍ଷଣ ପାଇଁ ଏହାର ପରିଚୟ ଓ ବ୍ୟାଙ୍ଗିନୀ

10.3. Τα προβλήματα της ανάπτυξης στην Ελλάδα σε πλαίσιο της ευρωπαϊκής και διεθνούς οικονομίας

· ღარენტ საბუღზებრ დაბრალებრეავრ ქამანცდაფრენ იღება აღმოჩენაში ისახული გუნდზე დამატებით

10.1. 2020-ის წლის 3-ე კვირის 20-ე დღეს გვიანდება მუნიციპალიტეტის მიერ გადაწყვეტილი სამუშაოს დასრულების დღეს.